F 18.346
2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

K 22.445 / 2
3KH3 (46)
ეროვნული ბიბლიოთეკა
F 18.346 / 2
K 22.445

ხოზე დიასი *

ხოზე დიასი—ესპანეთის მუშათა კლასის ნამდვილი შვილია.

ბავშვობაშივე თავის მხრებზე გამოცადა მან დამონავებული შრომის მთელი სიმძიმე. თორმეტი წლიდან იგი უკვე დაქირავებით მუშაობდა. რისხვასა და სიძულვილს იწვევდა მასში კაპიტალისტური წყობილება, აღვიძებდა მის ნებისყოფას ბრძოლისადმი.

1917 წლიდან ხოზე დიასი მთელ თავის ძალღონეს ახმარს მშობლიური ქალაქის სევილიის მუშათა ორგანიზაციასა და მათ ბრძოლას.

იგი იმყოფება დამქირავებელთა და ხელისუფლების წინააღმდეგ სევილიის მუშათა ყველა გამოსვლის პირველ რიგებში. მისმა ენერგიამ და მუშათა ინტერესების ერთგულებამ, მათ საჭიროებათა ცოდნამ და ორგანიზაციულმა უნარიანობამ დიდი ავტორიტეტი მოუპოვა მას მუშათა შორის და წამოაყენა იგი სევილიის გამოჩენილ პროფესიულ ხელმძღვანელთა რიგებში.

1927 წლიდან ხოზე დიასი ესპანეთის კომპარტიის აქტიურ მებრძოლთა და ხელმძღვანელთა რიგებშია. წამოყენებულ იქნა რა პარტიის ანდალუზიის საოლქო კომიტეტის მდივნის თანამდებობაზე, მან მცირე ხნის განმავლობაში შეძლო კომპარტიის განადგურებული ძალების აღდგენა. მისი ხელმძღვანელობით სევილიის პარტორგა-

* წიგნიდან: „ესპანეთის გმირული ახალგაზრდობა“ (რუსულ.), „მოლოდაია გვარდიას“ გამ. 1937 წ.

ნიზაცია განმტკიცდა და გადაიქცა სევილიის მუშათა
უდიდეს ბრძოლათა საყოველთაოდ აღიარებულ ხელ-
მძღვანელად. 1932 წელს, სევილიაში საყოველთაო გა-
ფიცვის ჩაქრობის შემდეგ, რომლის დროსაც ხოზე დიასი
ხელმძღვანელობდა ქუჩაში ბრძოლებს, პოლიციამ შეძლო
მისი შეპყრობა. დიასს მიუსაჯეს 18 წლის პატიმრობა.
სევილიის მუშებმა მოითხოვეს დიასის გათავისუფლება, ან
მისი გამოშვება თავდებქვეშ. მუშებმა — კომუნისტებმა,
სოციალისტებმა, ანარქისტებმა—ურთიერთ შორის გრო-
შობით შეაგროვეს თავდებობისათვის საჭირო 7 ათასი
პეზეტი და გაათავისუფლეს დიასი.

1933 წელს სევილიაში საარჩევნო კამპანიის დროს
დიასი ხელმეორედ დააპატიმრეს და მხოლოდ მუშათა
აღშფოთებამ აიძულა ხელისუფლება კვლავ გაეთავისუფ-
ლებინა იგი ტყვეობისაგან.

მასებში თავისი თავგანწირული და ერთგული მუშაო-
ბით ხოზე დიასმა მოიპოვა ყველა იმათი სიყვარული და
პატივისცემა, ვისთვისაც ძვირფასია ესპანეთის ხალხის
თავისუფლება.

1934 წლის სისხლიანი ოქტომბრის დღეებში იგი პირ-
ველი მოუწოდებდა მუშათა კლასს მთლიანობისაკენ, და
როდესაც რეაქციამ თეთრი ტერორი გააჩაღა, ხოზე დი-
ასი დიდ მუშაობას ეწეოდა პროლეტართა შორის, აკავ-
შირებდა და რაზმავდა მათ ძალებს ახალი გამოსვლები-
სათვის რეაქციული ხროვის წინააღმდეგ. ამ მძიმე დღე-
ებში ხოზე დიასმა გამოამჟღავნა თავისი თავი, როგორც
უნიჭიერესმა ორგანიზატორმა, პროფესიონალმა რევოლუ-
ციონერმა.

ხოზე დიასის ხელმძღვანელობით ესპანეთის კომუნის-
ტური პარტია რეაქციის პერიოდში, 1934 წლის შემოდ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გომაზე, არალეგალურ, მდგომარეობაზე გადავიდა მაგრამ არ შეუსუსტებია მასებთან კავშირი.

ესპანეთის კომუნისტური პარტიის მტრებთან შეურიგებელ თანმიმდევრულ ბრძოლაში გაიზარდა და გამტკიცდა ახლანდელი მისი ხელმძღვანელი, რომლის გარშემოც შემოიკრიბნენ მთელი პარტია და მუშათა კლასის ყველაზე ფართო მასები. 1932 წლიდან ხოზე დიასი სათავეში უდგას ესპანეთის კომპარტიის პოლიტბიუროს.

1936 წლის თებერვალში კორტესების (პარლამენტი) არჩევნების დროს მადრიდის მუშებმა თავის დელეგატად გაგზავნეს მხნე და სახელოვანი დიასი—ერთიანი პროლეტარული და სახალხო ფრონტისათვის მებრძოლი.

ფაშისტური ამბოხების პირველი დღეებიდანვე დაუღალავი ხოზე დიასი—ესპანეთის მშრომელთა ბელადი—ხალხის გმირული ბრძოლის ყველაზე ძნელ უბნებზე. მისი გამოჩენა ფრონტზე თუ ზურგში აღფრთოვანებს ესპანეთის ხალხის მასებს მათ ბრძოლაში წინააღმდეგ ფაშისტებისა, რომელთაც სიკვდილი მოაქვთ ხალხისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დოლორეს იბაროური (პასიონარია)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დოლორეს იბარური (პასიონარია)*

დოლორეს იბარური (პასიონარია)—ესპანეთის კომუნისტური პარტიის ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრი, კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის წევრობის კანდიდატია. დაიბადა 1895 წელს.

პასიონარიამ — მემაღაროელის შვილმა — კლასობრივი აღზრდის პირველი სკოლა გაიარა ეგრეთწოდებულ მუშათა ცენტრში, სადაც ყოველდღე იკრიბებოდნენ მემაღაროელები თავის აუტანელ ცხოვრებაზე მსჯელობისათვის. აქ იგი ეცნობოდა ბისკაის მუშათა გმირული ბრძოლის ისტორიას ბრძოლების ორგანიზატორთა და მონაწილეთა ნაამბობიდან; აქ იგი შეეჩვია აღფრთოვანებით ეცქირა მუშათა ორგანიზაციის წითელი დროშისათვის, რომელიც პარიზის კომუნისათვის შეიარაღებული ბრძოლის ეპიზოდების სურათების გვერდით იყო.

ახალგაზრდა ქალიშვილმა პასიონარიამ, ისე როგორც ესპანეთის მემაღაროელთა ქალიშვილების უმრავლესობამ, გამოცადა მდიდრის მოსამსახურის მწარე ხვედრი, შემდეგ ქი—ქაფეში ხელზე მოსამსახურისა. ამ სკოლამ დაასრულა ახალგაზრდა დოლორესის კლასობრივი აღზრდა. 17 წლისა შედის იგი ბისკაის ადგილობრივ სოციალისტურ ჯგუფში და პირველი დღეებიდანვე ხდება ყველაზე მოწინავე აქტივისტად და სოციალისტური გაზეთის კორესპონდენტად. დოლორესისა და მისი პირველი სტატიების

---

* დოლორეს იბარურის წიგნიდან: „ფაშისტები ვერ შემოვლენ!" (რუს.), პარტგამომცემლობა, 1936 წ.

მღელვარე, მებრძოლმა ხასიათმა სავსებით გაამართლა მისთვის შერქმეული სახელი—პასიონარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის დიადმა პროლეტარულმა რევოლუციამ განსაკუთრებული გავლენა იქონია ახალგაზრდა რევოლუციონერი ქალის განვითარებაზე. პირველი დღეებიდანვე ხდება იგი რუსეთის საბჭოთა სოციალისტური რევოლუციის ყველაზე მხურვალე და დარწმუნებულ დამცველად და პროპაგანდისტად. 1920 წელს სოციალისტური ჯგუფი, რომელსაც ეკუთვნოდა დოლორესი, ერთერთი პირველთაგანი შეუერთდა კომუნისტურ ორგანიზაციას, რომელიც მადრიდში შეიქმნა მაშინ, ხოლო შემდეგ წელს, როცა ჩამოყალიბდა კომპარტია, პასიონარია გახდა ერთერთი მისი ფუძემდებელი.

არა მარტო ბისკაიაში, არამედ მთელ ესპანეთში ყველა პოლიტიკური მიმართულების მუშები კარგად იცნობენ პასიონარიას—შეუშინებელ მებრძოლს, მგზნებარე ორატორს, გულისხმიერ ამხანაგს.

ანარქო-სინდიკალისტი მუშები მოგვითხრობენ, თუ როგორ გადაარჩინა პასიონარიამ ერთი დაჭრილი ამხანაგი: ორი კილომეტრი მისდია რბენით პოლიციელს, რომელიც ოლქის საზღვრის გარეთ აგდებდა იმ დაჭრილს, რომ შემდეგ თავის სახლში დაემალა დაჭრილი ამხანაგი.

ბილბაოში სოციალისტები, კომუნისტები და ყველა მშრომელი ხედავდნენ, რომ 1931 წლის პირველ მაისს, რესპუბლიკის პირველ დღეებში, როცა პოლიცია ცდილობდა მათრახებითა და ტყვიებით გაერეკა კომპარტიის მიერ მოწყობილი დემონსტრაცია, პასიონარიამ მაღლა ასწია დროშა, გაიქცა წინ, გაიყოლია მასები და გაატარა დემონსტრაცია ქალაქის ყველა ქუჩაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლად მყოფი თუ ციხეში მჯდომი,—პასიონარია ყოველთვის ბრძოლის ორგანიზატორია. მადრიდის ციხის ადმინისტრაცია კარგად იცნობს ამ მგზნებარე კომუნისტ ქალს, რომელიც ახერხებს თავის გარშემო ყველა ტუსაღის შემოკრებას.

ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლით, პასიონარიამ შეძლო სიმპატიის, აღტაცებისა და ავტორიტეტის დამსახურება არა მარტო მუშა-ქალთა შორის, არამედ წვრილბურჟუაზიული ფენების ქალთა შორისაც. მან შეძლო მათი დარაზმვა ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ქალთა კომიტეტის გარშემო, მან ჩააბა ისინი ესპანეთში პირველ მასობრივ ქალთა დემონსტრაციაში მადრიდში რეზერვისტების მობილიზაციის შესახებ გამოცემული დეკრეტის წინააღმდეგ, (1934 წ. სექტემბერი).

ხოლო 1936 წლის 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს, 80 ათასი დემონსტრანტი დადიოდა მადრიდში ესპანეთის კომპარტიის ლოზუნგებით სამგვარ ჩაგვრისაგან — მიწათმფლობელურ-კაპიტალისტური ექსპლოატაციისა, ქალთა მწარე ხვედრისა და ომის საფრთხისაგან—ესპანეთის მშრომელ ქალთა განთავისუფლების შესახებ. პასიონარია—ესპანეთის ყველაზე პოპულარული ქალი—აღფრთოვანებდა ამ მასებს.

მგზნებარე აგიტატორმა და მებრძოლმა, პროლეტარიატის საქმის სავსებით ერთგულმა დოლორესმა მთლიანად დაიმსახურა ესპანეთის მუშების მიერ შერქმეული სახელი „პასიონარია“ (რაც ნიშნავს დაუცხრომელს, თავდადებით ერთგულს). პასიონარიამ განსაკუთრებით ფართოდ გაითქვა სახელი ასტურიის ოქტომბრის (1934 წ.) ბრძოლების შემდეგ, როცა იგი დაპატიმრებულ მებრძოლთა კამერებში ჩუმად შეპარვასაც კი ახერხებდა, ამხნევებდა მათ, უამ-

ბობდა მათ სახალხო ფრონტის წარმატებათა შესახებ, აწყობდა დაღუპულთა ოჯახთათვის დახმარების აღმოჩენას. პასიონარია ყველაზე პოპულარული ქალია ესპანეთში, ესპანეთის ხალხის საყვარელი ქალია. ამასწინათ ანდალუზიის ორიათასმა გლეხმა ქალმა მისწერა მას წერილი, ეპატიჟებოდნენ—ჩამოდი, დაგვრაზმე და წაგვიყვანე იმ გზით, რომლითაც შენ მიდიხარ და „რომელიც, ეჭვს გარეშეა, მიგვიყვანს ჩვენ იმგვარსაკე გამარჯვებამდის, როგორამდისაც მიიყვანა ჩვენი რუსი ამხანაგებიო“.

ამბოხების პირველი დღიდანვე დოლორესი შეუსვენებლად მუშაობს გამარჯვების ორგანიზაციისათვის. ფრონტიდან მადრიდში, მადრიდიდან ფრონტზე—ასეთია მისი ცხოვრება. იგი აწყობს ბრძოლას ფრონტზე, ზურგში დახმარებას მებრძოლთა ოჯახთათვის, ამჟღავნებს საერთაშორისო ფაშიზმის ცილისწამებას, არწმუნებს იჭვიანებს, აღფრთოვანებს დაღლილებს.

ესპანეთის ხალხის ფართო მასები იცნობენ და უყვართ დოლორეს პასიონარია, რომელმაც მთელი თავისი მოქმედებით დაამტკიცა თავისი უსაზღვრო ერთგულება მუშათა კლასის საქმისადმი, ხალხის საქმისადმი, მშვიდობიანობისა და თავისუფლების საქმისადმი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გმირული ხალხის მგზნებარე ტრიბუნი *

წინათ არასოდეს არ შევხვედრივარ ესპანეთის ამ შესანიშნავ ქალს, მაგრამ როცა 1936 წლის 6 სექტემბერს დავინახე იგი, როცა ჩამოვართვი ხელი, ყურადღებით ჩავუკვირდი ამ ქალის თვალებს, მაშინ მომაგონდა იგი.

ეს ის პასიონარიაა, რომელმაც ერთერთმა პირველმა გაიგო სახალხო ფრონტის გამარჯვების მნიშვნელობა ესპანეთში. ეს მან მოითხოვა თავის მგზნებარე სიტყვაში 1936 წლის 16 ივნისს პარლამენტში:

„იმისათვის, რომ თავი დავაღწიოთ მღელვარებას, იმისათვის, რომ თავი დავაღწიოთ შფოთვას, რომელიც გამეფებულია ესპანეთში, საკმარისი არ არის მოსალოდნელი ამბების პასუხისმგებლობა დავაკისროთ მხოლოდ ერთ ვინმეს, როგორც, მაგალითად, ბ-ნ კალვო სოტელოს. საჭიროა დავიწყოთ დამქირავებელთა დაპატიმრებით, რომლებიც უარს ამბობენ მთავრობის განკარგულებათა შესრულებაზე. საჭიროა დავიწყოთ ციხეში იმ მსხვილ მემამულეთა ჩასმით, რომლებიც შიმშილით ხოცავენ გლეხებს. საჭიროა ციხეში ჩავყაროთ ყველა ის პირები, რომლების ხელებიც ჯერ კიდევ წითელია ოქტომბრის რეპრესიების მსხვერპლთა სისხლით და რომლებიც უმაგალითო ცინიზმით ცხადდებიან აქ და უნდათ მთავრობის პასუხის-

---

* დოლორეს იბარურის წიგნიდან: „ფაშისტები ვერ შემოვლენ!" (ოდნავი შემოკლებით).

გებაში მიცემა იმისათვის, რაც არ ყოფილა. და როდესაც დაიწყება სიმართლის ეს საქმეები, მაშინ... ეროვნული მთავრობას არ ექნება ისეთი ძლიერი და მტკიცე მხარის დაჭერა, როგორც თქვენს მთავრობას, ვინაიდან ესპანეთის ხალხთა მასები მედგრად აზვირთდებიან, როგორც ეს იყო 16 თებერვალს, იმისათვის, რომ უფრო გადაჭრით გამოვიდნენ იმ ელემენტების წინააღმდეგ, რომელთა აქ ყოფნა ყოვლად აუტანელია".

ეს ის პასიონარიაა, რომელიც რაზმავდა ხალხთა მასებს დემოკრატიული რესპუბლიკის დასაცავად.

ეს მან პირველმა მოუწოდა ქალებს—დედებსა და დებს, აქტიური ბრძოლისაკენ ფაშისტური მეამბოხეების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ სისხლში ჩაახრჩონ ესპანეთის თავისუფლება, დემოკრატია და დამოუკიდებლობა.

ეს ის პასიონარიაა, რომელიც დაუღალავად აწყობს ფრონტისათვის დახმარების აღმოჩენას.

„გამარჯვებისათვის საკმარისი არაა მხოლოდ და მხოლოდ ენთუზიაზმი; ენთუზიაზმი შევსებულ უნდა იქნას მატერიალური საშუალებებით. ცეცხლის ხაზზე მყოფ სახელოვან მებრძოლთ არაფერი არ უნდა აკლდეთ. მადრიდის მოსახლეობა დიდად არის დავალებული იმათგან, რომლებიც შეუპოვრად იბრძვიან დემოკრატიისა და რესპუბლიკის თავისუფლებისათვის. უნდა შევქმნათ კომიტეტები საჭირო დახმარების გასაწევად და ფრონტზე ვგზავნოთ ყველაფერი, რაც კი შეიძლება. ყველაფერი! ყველაფერი დემოკრატიისა და რესპუბლიკის დასახმარებლად!"

1936 წლის 6 სექტემბერი. მშვიდობიანობის საერთაშორისო კონგრესის მუშაობის უკანასკნელი დღეა, როცა კონგრესის დელეგატები ბრიუსელის სტადიონზე მიესალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

F 18.346

მებოდნენ ომის საწინააღმდეგო მუშათა დემონსტრაციას.

აქ, სტადიონზე, კონგრესის დაახლოვებით 8 ათასი დელეგატი და სტუმრები ბრიუსელის მუშებთან ერთად აცხადებდნენ თავის მზადყოფნას მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობისათვის საბრძოლველად.

აქ კონგრესის სხდომების დასრულებისას ჩამოვიდა დოლორეს იბარური.

ქალები—ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის აქტიური მონაწილენი—შეხვდნენ პასიონარიას. საბჭოთა კავშირის მეგობართა ჯგუფმა მისი ჩამოსვლის პატივსაცემად გამართა საუზმე. პირველად აქ ვნახე იგი.

ეს იყო მაღალი, შავთმიანი, ჭაღარაშერეული ქალი, დაუვიწყარი ბრწყინვალე თვალებით, მშვენიერი სახით, რომელზედაც მოჩანდა ღრმა მწუხარების კვალი. სახის თითოეული ნაოჭი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ პასიონარიამ თავისი თავი სისხლის უკანასკნელ წვეთამდის დაუკავშირა ხალხს, რესპუბლიკური ესპანეთის ბედნიერებას, მის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

6 სექტემბერს მე იგი დავინახე ბრიუსელის სტადიონზე, იგი გარშემორტყმული იყო ქალებით ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტიდან. აქ იყვნენ ქ-ნი დუშენი, კატანეო და სხვები. ჩვენ კიდევ ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი, როგორც ძველმა მეგობრებმა. პასიონარია აშკარად ღელავდა. მას მიესალმნენ კონგრესის დელეგატები და ათასობით დემონსტრანტები, ქალებმა აუარებელი ყვავილი ესროლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამისათვის კი არ ჩამოსულა აქ დოლორესი. იქ, მის სამშობლოში, ფაშისტებთან სისხლიან შეტაკებაში იღვრება ხალხის სისხლი. იქ მთელი მშრომელი მოსახლეობა—მამაკაცებიცა და ქალებიც—ეწევა გმირულ ბრძოლას. ამბოხებული ფაშისტები, რომლებსაც მხარს უჭერენ ინტერვენტები—გერმანია, იტალია და პორტუგალია—ანგრევენ მშვენიერ ქალაქებს, სპობენ კულტურას, ხოცავენ ქალებსა და ბავშვებს.

თავისუფალი ესპანეთისათვის მებრძოლთ, ბავშვებსა და ქალებს ესაჭიროებათ თავისი კლასის მშრომელთა—ძმებისა და დების—სასწრაფო დახმარება.

აქ, კონგრესზე, მოფრინდა პასიონარიას მგზნებარე გული, რომ ალაპარაკდეს გმირული ბრძოლის შესახებ **ნამდვილი მშვიდობიანობისათვის, გამხეცებული ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ** და მიმართოს დახმარებისათვის 5 ათას დელეგატს—34 ქვეყნის წარმომადგენლებს, მაგრამ პასიონარიამ სიტყვა ვერ მიიღო. „კონგრესის პროგრამა მის საბოლოო ნაწილში არ ითვალისწინებს, დოლორესის გამოსვლას“,—ამის გამო მას არ შეუძლია ლაპარაკი ესპანეთის შესახებ.

მე ვხედავ მის სახეზე ტანჯვისა და აღშფოთების ახალ ნაოჭს.

ესპანეთის ხალხს, რომელიც ვაჟკაცურად იბრძვის თავისი უფლებებისათვის, კონგრესის პროგრამა არ უთმობს ადგილს.

პასიონარია გარშემორტყმულია ქალებით. მე მასთან ვზივარ, მჭიდროდ ვეკვრით ერთმანეთს. მინდა დავამშვიდო, მინდა ავუნაზღაურო კონგრესზე განცდილი მარცხი.

მე შევეკითხე, თუ როგორ შეხვდა ესპანეთის ხალხი დახმარებას, რომელიც მოაწყვეს ჩვენი ქვეყნის მშრომე-

ლებმა. პასიონარიას თვალები გაუბრწყინდა, ხელს მაო-
მევს და მთხოვს გადავსცე ყველა მშრომელს მებრძო-
ბისა და ესპანეთის ყველა მშრომელის მხურვალე მად-
ლობა. ეს იყო დახმარება, ეს იყო ნამდვილი ძმური დახ-
მარება!

— ძვირფასო დოლორეს! რის გაკეთება შეუძლიათ
კიდევ საბჭოთა მშრომელების მასებს ესპანეთის დასახმა-
რებლად? რის გაკეთება შეუძლიათ ქალებს?

და პასიონარია მიჩურჩულებს:

— გადაეცით იქ, თქვენს მშვენიერ ქვეყანაში, რომ
ჩვენ ვიბრძოლებთ ბოლომდის და ჩვენ გავიმარჯვებთ
თქვენი მაგალითით აღფრთოვანებულნი!

შემდეგ პასიონარია ლაპარაკობს, რომ საჭიროა კვე-
ბის პროდუქტები, მებრძოლთათვის თბილი საგნები, რომ
ესპანეთის ქალებსა და ბავშვებს ესაჭიროებათ დახმა-
რება.

მე ვპირდები მას, რომ ვუამბობ მშრომელ ქალებს
მისი თხოვნის შესახებ, ვეუბნები მას, რომ ჩვენ სიხარუ-
ლით ვადევნებთ თვალყურს ესპანეთის ხალხის ბრძოლას
და ვამაყობთ მისი ვაჟკაცობით.

პასიონარია იღიმება, მისი სახე ნათლდება, სრულიად
ახალგაზრდა და აუწერლად მშვენიერი ხდება, და მე მაგ-
რად ვკოცნი მას. ვნანობ, რომ არ ვიცი მისი ენა, რომ
არ შემიძლია გადავსცე მას მთელი ჩვენი სიყვარული და
ზრუნვა, და ვერ ვამჩნევ, რომ ცრემლებს ვაფრქვევ და
ვაფრქვევ.

თარჯიმანი ქალი უხერხულ მდგომარეობაშია ჩემი
ცრემლების გამო. ფოტოგრაფი სურათს იღებს, ხალხი
გვიცქერის, აქ კი ჭაღარა ქალი ტირის. რატომ? იმიტომ,
რომ დოლორესს აწყენინეს, რომელმაც ვერ მიიღო სიტყვა,

იმიტომ, რომ ვღელავ, იმიტომ, რომ ვამაყობ ესპანეთის ხალხით, იმიტომ, რომ მიხარია დაუვიწყარ ქალთან შეხვედრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოლორეს იბარური (პასიონარია)—ჩვენი დროის ერთ-ერთი თვალსაჩინო რევოლუციონერი ქალია. ესპანეთის კომპარტიის დაარსებიდანვე, იგი მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის აქტიური მებრძოლია. პასიონარია ესპანეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრია და კომინტერნის აღმასკომის წევრობის კანდიდატი. ასტურიის გმირულმა მებრძოლებმა იგი აირჩიეს თავის დეპუტატად პარლამენტში.

პასიონარია მუშათა კლასიდან გამოვიდა და დიდ პოლიტიკურ მუშაობამდის ავიდა.

ამხ. დიმიტროვმა კომინტერნის VII კონგრესზე თქვა: „ჩვენს პარტიებში ჩვენ გვაქვს დაწინაურების მაგალითები, რომლებმაც მოგვცეს საუკეთესო შედეგები. ჩვენი კონგრესის პრეზიდიუმში, მაგალითად, ზის ესპანეთის კომუნისტი ქალი ამხ. დოლორესი. ჯერ კიდევ ორი წლის წინათ იგი იყო ძირეულ სამუშაოზე. კლასობრივ მტრებთან პირველი შეჯახებისთანავე მან გამოამჟღავნა თავისი თავი, როგორც საუკეთესო აგიტატორმა და მებრძოლმა. შემდგომ დაწინაურებულმა პარტიის ხელმძღვანელობაში, მან თავისი თავი გამოამჟღავნა მის ღირსეულ წევრად“.

ახალგაზრდა რევოლუციონერი ქალის შემდგომ განვითარებაზე უდიდესი გავლენა იქონია რუსეთის დიადმა პროლეტარულმა რევოლუციამ. დოლორესი მხურვალედ იცავს ოქტომბრის რევოლუციას, მოუწოდებს ესპანეთის ხალხს იაროს ლენინ-სტალინის გზით. დაუღალავი, მგზნებარე

პასიონარია მასებს მალე სათავეში უდგება კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა უბანზე ესპანეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1934 წლის ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების დღეებში იგი იყო საბრძოლო სადარაჯოზე. ოქტომბრის ბრძოლების შემდეგ, როცა ესპანეთის კომპარტია იატაკქვეშ შერეკეს, პასიონარია ხელმძღვანელობდა მასობრივ მოძრაობას ტეროორისა და მასობრივ დასჯათა წინააღმდეგ, ათეულ ათას პოლიტპატიმართა განთავისუფლებისათვის. პასიონარია თვითონ რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული და ციხეში განაგრძობდა ბრძოლას ციხის ადმინისტრაციის თვითნებობის წინააღმდეგ, აბამდა ამ ბრძოლაში პოლიტპატიმრებს, აღაგზნებდა მათ მებრძოლ სულს.

ციხიდან დოლორესი მასებს მოუწოდებდა ერთიანი და ფართო სახალხო ფრონტის ლოზუნგებისათვის საბრძოლველად.

„ათასობით პატიმრები ნუგეშით შემოგცქერიან თქვენ, ესპანეთის დედებო და ქალებო, და მოელიან თქვენს გადაწყვეტილებას, რომელზედაც დამოკიდებულია თავისუფლება და პური მათი ახლობლებისათვის.

ათასობით ქალები და ბავშვები, რომლებიც შიმშილობენ და სწყურიან, იმედოვნებენ მამების, ქმრებისა და ძმების დაბრუნებას, რომლებსაც ფართო ამნისტია დაუბრუნებს მათ ოჯახებს, და მათთან ერთად—მშვიდობიანობასა და სიხარულს.

დედებო, ქალებო! დავუშროთ ცრემლები ჩვენს დებსა და უმწეო ბავშვებს! ჩავუნერგოთ აღფრთოვანება ამ გმირულ ხალხს, რომელმაც დაკარგა თავისუფლება სამართლიანობის საქმის დაცვის დროს!

ძირს ბნელეთის მოციქულობა, ძირს ფაშიზმი!

ჩვენი ძმებისათვის, ჩვენი ქმრებისა და შვილებისათვის, ჩვენთვის, პროგრესის საქმისათვის—ხმა მიეცით ხალხო ფრონტს!“

ეს განსაკუთრებული ქალი თავის გულში ატარებს ხალხის საშინელი მტრის—ფაშიზმის კლასობრივ სიძულვილს. მან შეძლო ამ სიძულვილის დანერგვა ესპანეთის ხალხის მასებში და შრომის ხალხის ამხედრება ფაშიზმთან საბრძოლველად.

დაუღალავი დოლორესი თავის სააგიტაციო მუშაობას აწარმოებს ცეცხლის ხაზზე, მოულოდნელად გამოჩნდება ხოლმე ყველაზე სახიფათო ადგილებზე, ნერგავს სიმხნევესა და ვაჟკაცობას მებრძოლთა გულებში, ამტკიცებს მათ ნებისყოფას მეამბოხეებთან საბრძოლველად.

იგი პოულობს აგრეთვე მშრომელებისა და ბავშვების უსაზღვრო სიყვარულს, ცეცხლოვან სიტყვებს. მას, როგორც ფაქიზ დედას, შეუძლია ზრუნვა ესპანეთის ბავშვებსა და ქალებზე. იგი უსაზღვრო სიყვარულით ეპყრობა სახალხო არმიის მებრძოლებს.

დოლორესმა ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ქალთა კომიტეტის გარშემო გააერთიანა ქალთა ფართო მასები. 1936 წლის 8 მარტს მან თან გაიყოლა 80 ათასი დემონსტრანტი ესპანეთის მშრომელ ქალთა მიწათმფლობელურ-კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან განთავისუფლების ლოზუნგებით, ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგებით.

მრავალათასიან მიტინგზე პარიზში პასიონარიამ პარიზის ხალხს მიმართა მოწოდებით ესპანეთის ხალხისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

„მე მოგმართავ შენ, პარიზის ხალხო,—ამბობდა პასიონარია,—შენ, რომლის წინაპრებიც ამსხვრევდნენ ბასტი-

ლიას და იბრძოდნენ კომუნის ბარიკადებზე. მე მოგმართავ
თავ შენ. მოწოდებით ესპანეთის ხალხისათვის დახმარე-
ბის შესახებ.

მომისმინეთ და დამიხსომეთ მე!

ბადახოსში ჯალათებმა მთელი მოსახლეობა დახოცეს,
ბაიენში 500 მცხოვრებიდან მათ მოკლეს 270. სოფლებში
ისინი ქოხებს ნავთს ასხამდნენ და ქალებსა და ოჯახებს
ცოცხლად სწვავდნენ. გენერალმა კეიპო დე ლიანო რა-
დიოთი გამოაცხადა — მე მსურს ჩემი ჯარისკაცების წაყ-
ვანა ისეთ სოფლებში, სადაც ლამაზი ქალები არიანო...

იყავით სადარაჯოზე! ფაშიზმი უნდა მოვსპოთ! მის და-
სამარცხებლად ჩვენ ჯერ კიდევ არ გვყოფნის ზარბაზ-
ნები და ყუმბარები!"

როცა ვფიქრობ დოლორესზე, წარმომიდგება ხოლმე
მისი სახით ახალი კომუნისტი ქალის ტიპი, რომელიც გაი-
ზარდა ესპანეთის ხალხის კლასობრივ ბრძოლაში, რომე-
ლიც გაიზარდა სახალხო ფრონტის გამარჯვებისათვის
ბრძოლის პერიოდში და რომელიც გამხეცებულ ფაშიზმთან
სისხლიან ბრძოლაში ამაღლებულია სახალხო ბელადამდის.

ისეთი ბელადების ხელმძღვანელობით, როგორიც დო-
ლორეს იბარურია, ესპანეთის ხალხი დაამარცხებს გათავ-
ხედებულ ფაშისტებს, დაიცავს დემოკრატიას, გმირული
ესპანეთის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

ხოზე დიანი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენ უნდა მოვიგოთ ომი!*

ვალენსიაში შემდგარ გაერთიანებული სოციალისტური ახალგაზრდობის ფედერაციის კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვიდან

იმ საკითხთა შორის, რომლებიც თქვენ უნდა განიხილოთ კონფერენციაზე, არის მთავარი საკითხი—საკითხი მთელი ახალგაზრდობის გაერთიანების შესახებ. რა საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ ახალგაზრდობა მჭიდროდ არ იყოს გაერთიანებული — ახალგაზრდობა, რომელიც იბრძვის ერთსადაიმავე სანგრებში, რომელიც მუშაობს ერთსადაიმავე საწარმოებში, რომლებიც სწავლობენ ერთსადაიმავე უნივერსიტეტებში? ჩვენ რომ არ მოვიგოთ ომი, მაშინ ხომ მთელი ეს ახალგაზრდობა ერთნაირად განიცდის მკაცრ დევნას. ფაშიზმი მთელი თავისი მრისხანებით ესხმის თავს ახალგაზრდობას, იგი არ არჩევს მიმართულებათა და იდეოლოგიის სხვადასხვაობას. ფაშიზმი—ეს არის კულტურისა და ხალხის პროგრესის დანგრევა. იგი ერთიანად დევნის მთელს არაფაშისტურ ახალგაზრდობას, იქნება იგი კომუნისტური, რესპუბლიკური, ანარქისტული თუ კათოლიკური. ფრანკოსა და კომპანიის მიერ დაპყრობილ პროვინციებში ფაშისტები სპობენ ანტიფაშისტური ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილს.

---

* ჟურნალიდან „ინტერნაციონალ მოლოდეჟი", № 4, 1937 წ.

რატომ ვამბობთ ჩვენ—კათოლიკური ახალგაზრდობა, სოციალისტური ან კომუნისტური გაერთიანებული ახალგაზრდობა, ანარქისტული ახალგაზრდობა ან რესპუბლიკური ახალგაზრდობა, თუ კი ჩვენ ყველას ერთი და იგივე ინტერესები გვაქვს, თუ კი ჩვენ ყველამ მთელი ჩვენი ძალღონე უნდა მოვახმაროთ მტერზე გამარჯვებას, არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო ფაშიზმის ძალებზე? გააკეთეთ აშკარა და სასწრაფო დასკვნა, სახელდობრ—რომ არსებობს მხოლოდ ერთი ახალგაზრდობა. დეე, ამ ახალგაზრდობას ჰქონდეს სრული დამოუკიდებლობა, მაგრამ დეე იგი ამავე დროს უწევდეს გულწრფელ და რეალურ დახმარებას სახალხო ფრონტის პარტიებს. როცა ჩვენ გვექნება ესპანეთის ახალგაზრდობის მთლიანი ორგანიზაცია, მაშინ ჩვენ მას ჩავაყენებთ მშვიდობიანობის საქმის სამსახურში.

ამგვარად, დღის წესრიგის ერთერთი მთავარი პუნქტი, რომელიც თქვენ უნდა განიხილოთ,—არის ახალგაზრდობის ერთიანი ორგანიზაციის შექმნა.

მე მოვუწოდებ აგრეთვე რესპუბლიკელებს, ამხანაგებს შრომის ნაციონალური კონფედერაციიდან და პოლიტიკური პარტიებისა და პროფკავშირების ყველა წარმომადგენელს გაუწიონ დახმარება და იმუშაონ ამ გაერთიანებისათვის.

ჩვენ გვაქვს მილიციის მაგალითი. როცა ცალცალკე არსებობდნენ მილიციის სოციალისტური, კომუნისტური, რესპუბლიკური და ანარქისტული რაზმები, მტერი იოლად გვდევნიდა ჩვენ. არ შეიძლებოდა წარმატებით გვეწარმოებინა ბრძოლა, როცა გვყვანდნენ ასეთი მილიციები.

მაშინ წარმოიშვა აზრი რეგულარული არმიის შექმნის შესახებ. შექმნილ იქნა ბრიგადები, ყალიბდებოდნენ დივიზიები. ამ ბრიგადებში იბრძვიან სოციალისტებიც, კომუნისტებიც და ანარქისტებიც. როცა ფრონტზე გვხვდებიან ისინი, ძალიან ძნელია გარჩევა, თუ ვინ რომელ პოლიტიკურ მიმართულებას ეკუთვნის.

ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ მოვიგოთ ომი. ჩვენ იგი უნდა მოვიგოთ ჩქარა, სისხლის ნაკლები დაღვრით, ნაკლები ზარალით.

ჩვენ განვიხილავთ თქვენს კონფერენციაზე ორ საკითხს: „ახალგაზრდობა და მისი დახმარება სახალხო ფრონტის მთავრობას“ და „ახალგაზრდობის გაერთიანება“—ვიმეორებ, თქვენ ამ საკითხებს განიხილავთ სავსებით დამოუკიდებლად, როგორც ეს შეეფერება თქვენი ორგანიზაციის მნიშვნელობას. აგრეთვე ვიმეორებ, რომ ამ მუშაობაში ყოველთვის გაგიწევენ დახმარებას პირველ რიგში სოციალისტური და კომუნისტური პარტიები და აგრეთვე სხვა ორგანიზაციები. მაგრამ თქვენ უნდა აუხსნათ აქ წარმოდგენილ დანარჩენ ახალგაზრდობას, აგრეთვე იმ ახალგაზრდობას, რომელიც აქ არაა წარმოდგენილი, რომ ორგანიზაცია, რომლის შექმნაც თქვენ გინდათ, აშკარად გამოხატულ ანტიფაშისტურ ხასიათს ატარებს, რომ ყველას შეუძლია მასში მონაწილეობის მიღება. ეს იქნება ისეთი ორგანიზაცია, რომელსაც არ ექნება არავითარი შემზღუდველი პირობები.

ახალგაზრდობა სიყვარულითა და ყურადღებით უნდა აღვზარდოთ. ეს სოციალისტური და კომუნისტური პარტიების საქმეა, პირველ ყოვლისა კი გაერთიანებული სოციალისტური ახალგაზრდობის მთელი ფედერაციისა. იგი

უნდა ზრდიდეს მთელს ახალგაზრდობას ესპანეთის ახალგაზრდობის ერთიანი ორგანიზაციის შექმნის მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს კონფერენცია ჰპოვებს ფართე, საერთაშორისო გამოხმაურებას.

მე დარწმუნებული ვარ, რომ გზას, რომელიც დასახულია სოციალისტური და კომუნისტური ახალგაზრდობის გაერთიანებით, დაადგება სხვა ქვეყნების ახალგაზრდობაც, რომ ამ გზით წავა როგორც კათოლიკური, აგრეთვე დანარჩენი დემოკრატიული ახალგაზრდობაც; რომელიც ჯერ კიდევ გაერთიანებული არაა სოციალისტურ და კომუნისტურ ახალგაზრდობასთან. ამით გადაიდგმება დიდი ნაბიჯი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მეორე მხრით, არ დავივიწყოთ, რომ სახალხო ფრონტის მთავრობა თქვენი მთავრობაა, რომ იგი უნდა სარგებლობდეს თქვენი სრული ნდობით, რომ თქვენ მას უნდა ეხმარებოდეთ. სხვა გზით სიარული არ შეიძლება. უნდა გაკეთდეს ყველაფერი, რათა მოგებულ იქნას ომი მთავრობის ხელმძღვანელობით, რომელიც ამ მომენტში წარმოადგენს ესპანეთის ერთადერთ ნამდვილ სახალხო ანტიფაშისტური ფრონტის მთავრობას.

სახალხო ფრონტის გამტკიცებისა და მთავრობისადმი დახმარების გაწევით, ჩვენ შეგვიძლია უშიშრად ვამტკიცოთ, რომ ჩქარა გავიმარჯვებთ, რომ დავამსხვრევთ ფაშიზმს და შევქმნით ბედნიერ ესპანეთს, სადაც ახალგაზრდობისათვის ცხოვრება იქნება სასიხარულო, სადაც მას ექნება შესაძლებლობა იცხოვროს ისე, როგორც ცხოვრობს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობა.

ასეთია გამარჯვების პირობები. მივყვეთ მათ და ჩვენ ჩქარა ვიდღესასწაულებთ გამარჯვებას შინაურ და გარეშე მტერზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფაშიზმი ვერ შემოვა!*

სიტყვა, წარმოთქმული ასიათასიან მიტინგზე, რომელიც მოაწყო სახალხო ფრონტმა მასტალიის სტადიონზე ვალენსიაში 1936 წლის 23 აგვისტოს

ამხანაგებო! ვალენსიის ხალხო! დე ნუ გაგიკვირდებათ, თუ ღრმა აღელვების ამ წუთებში, როცა მე ვხედავ ადამიანების ამ დიდ მასას, რომელიც სავსეა წმინდა ენთუზიაზმითა და ხალხის თავისუფლების დაცვის გადაწყვეტილებით, მე შეიძლება ვერ შევძლო გამოვთქვა გულის სიღრმიდან მოწოლილი მღელვარე გრძნობები, რომლებიც უშედეგოდ ცდილობენ მიიღონ უბრალო და დამაჯერებელი სიტყვების ფორმა. მე ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, მსურს მქონდეს საკმაო მჭევრმეტყველება, რომ გამოვთქვა ჩემი დარწმუნების მთელი ძალა, დაგიმტკიცოთ, რომ ახლა უფრო აუცილებელია შემჭიდროებულად ყოფნა, ვიდრე ოდესმე, რომ აუცილებელია ჩვენი რიგების უფრო მტკიცედ შემჭიდროება, ვიდრე ოდესმე, რადგან ახლა საშიშროებაც უფრო დიდია, ვიდრე ოდესმე.

მე მოვედი თქვენთან ტრაგიკულ და მძიმე საათებში, როცა წყდება ესპანეთის ბედი და განსაკუთრებით კი მშრომელი მასების მომავალი. მე მოვედი თქვენთან მაშინ, როცა პირში ჯერ კიდევ ვგრძნობ თოფის წამლის მწკლარტე გემოს, მოვედი იმ სიძნელეების შთაბეჭ-

---

* დოლორეს იბარურის წიგნიდან: „ფაშისტები ვერ შემოვლენ!“

დილებით, რომლებიც დგანან გვადარამის მთების სიმაღ-
ლეებსა და ფერდობებზე მებრძოლი ამხანაგების წინაშე,
რომლებსაც შეგნებული აქვთ ჩვენი ბრძოლის მნიშვნე-
ლობა და მზად არიან მოკვდნენ, ვიდრე აღმოჩდნენ ფა-
შიზმის ბრჭყალებში. მე მოვედი თქვენთან ბრძოლის ვე-
ლიდან, იმ გრანდიოზული შეტაკებიდან, რომელიც ღე-
ბულობს გმირული ეპოპეის ხასიათს, ვინაიდან ჩვენ მივ-
დიოდით ბრძოლაში მხოლოდ ენთუზიაზმით, თავგანწი-
რულობითა და ხალხის საქმისადმი უსაზღვრო თავდადე-
ბით შეიარაღებულნი, რომ გვებრძოლა მტერთან, რომე-
ლიც შეიარაღებულია ომის ყველა საშუალებით, რომე-
ლიც მან ხალხს მოჰპარა...

თუ ჩვენ მივდივართ ცეცხლის ხაზზე მტერთან საბრ-
ძოლველად, რომელიც ემუქრება ხალხის თავისუფლე-
ბას, მაშინ, როცა ზურგში გვაქვს ასეთი ენთუზიაზმი, ვა-
ლენსიის მშრომელებო, მე გელაპარაკებით თქვენ იმასვე,
რაც ვთქვი **რაზმელების** ხელში იარაღის დანახვის დროს,
მთავრობის ერთგული ჯარების ხელში შაშხანების დანა-
ხვის დროს:

ფაშიზმი ვერ შემოვა!

და ვერ შემოვა იმიტომ, რომ ჩვენს მიერ მის წინა-
აღმდეგ აღმართული კედელი სხეულებისა დღეს განმტკი-
ცებულია დაცვის საშუალებებით, რომელიც ჩვენ წავარ-
თვით მტერს, მშიშარა მტერს, ვინაიდან მას არ ამოქმე-
დებს ისეთი იდეალი, რომელსაც ჩვენ ბრძოლაში მივყა-
ვართ. ამის გამო მტერს არა აქვს სწრაფადობა, მაშინ,
როცა ჩვენ ფრთებს გვასხამს ჩვენი იდეალი, სიყვარული
არა მტერთან ერთად მომაკვდავი ესპანეთისა, არამედ იმ

ესპანეთისა, რომელიც ჩვენ გვინდა რომ გვქონდეს,—დემოკრატიული ესპანეთისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ესპანეთის შესახებ, მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ ეს სახელწოდება: ჩვენ ვფიქრობთ დემოკრატიული ესპანეთის შესახებ, და არა იმ ესპანეთის შესახებ, რომელიც ებღაუჭება თავის ძველ ტრადიციებს; ჩვენ ვფიქრობთ იმ ესპანეთის შესახებ, რომელიც მისცემს გლეხებს მიწას, მოახდენს მრეწველობის სოციალიზაციას მუშათა კონტროლის ქვეშ,შემოიღებს სოციალურ დაზღვევას, რომ იხსნას მუშები უთავშესაფარო სიბერისაგან; ესპანეთის შესახებ, რომელიც სავსებით და მთელი მოცულობით რევოლუციურად გადაჭრის ეკონომიურ პრობლემებს, რომლებიც ყოველი რევოლუციის საფუძველია **(მხურვალე და ხანგრძლივი ტაში).**

ყველა ფრონტზე მხარდამხარ იბრძვიან კომუნისტები, ანარქისტები, სოციალისტები, რესპუბლიკელები.

მოვიდნენ ჩვენთან აგრეთვე უპარტიოებიც ქალაქებიდან და სოფლებიდან, ვინაიდან მათაც შეიგნეს, თუ რას მოასწავებდა ესპანეთისათვის ფაშიზმის გამარჯვება.

ბრძოლა, რომელიც დაიწყო ჩვენი ქვეყნის შიგნით, უკვე ღებულობს საერთაშორისო ხასიათს, ვინაიდან ყველა ქვეყნის მშრომელებმა იციან, რომ თუ ესპანეთში ფაშიზმი გაიმარჯვებს, მაშინ მსოფლიოს ყველა დემოკრატიული ქვეყანა აღმოჩნდება ფაშისტური საფრთხის წინაშე. მშრომელებმა ეს გაიგეს—ამის შესახებ მოწმობს ის, რომ მთელი მსოფლიოს ყველა კუთხიდან განუწყვეტლივ გვიცხადებენ სოლიდარობას. საერთაშორისო ფაშიზმმაც გაიგო ესპანეთის ხალხის ბრძოლის მნიშვნელობა მტრების წინააღმდეგ, რომლებმაც დაარღვიეს სამშობლოსა და სახელმწიფოებრივი დროშისადმი ერთგულების

ფიცი. ფიცის ეს დამრღვევები, რომლებმაც ულალატეს ყველა თავის დაპირებას, საზიზღრად შეუკავშირდნენ არევ-დარევის შემომტან ეკლესიის მსახურებსა და არისტოკრატიის გარყვნილ შვილებს, აჯანყდნენ და უამრავ ბოროტმოქმედებას ჩადიან ყველა სოფელში, რომლებზე გავლაც კი უხდებათ. საჭიროა გოიას ფუნჯი და ბლასკო იბანიესის მხატვრული კალამი, რომ აიწეროს ის საშინელებანი, საზიზღარი ბოროტმოქმედებანი, რომლებსაც ეს ელემენტები ჩადიან ფაშისტური თავხედი გენერლების ხელმძღვანელობით, რომლებმაც დიდი ხანია დაამტკიცეს, რომ მათ არავითარი უნარი არ შესწევთ.

(პასიონარიას ემჩნევა ძალიან დიდი დაღლილობის ნიშნები და, მიუხედავად იმისა, რომ იგი საშინლად ატანს თავს ძალას, ეტყობა, რომ მას ძალიან უჭირს ლაპარაკი).

ჯოჯოხეთი, რომელიც აგვისახა დანტემ,—იმ ადგილების სინამდვილის მხოლოდ მკრთალი გამოსახვაა, სადაც უხდებათ გავლა ამ თანამედროვე ვანდალებს. დახოცილი ბავშვები და მოხუცები, გაუპატიურებულ და დაჩეხილ ქალთა გვამები, ხელოვნების დანგრეული ძეგლები... ყველგან, სადაც კი უხდებათ მათ გავლა, ისინი სთესენ სიკვდილსა და გავერანებას. და ის, რაც ხდება ფაშისტების მიერ დაპყრობილ რაიონებში, ფაქტიურად მოხდებოდა მთელ ესპანეთში, მათთვის წინააღმდეგობა რომ არ გაეწია ხალხს, რომელიც დარწმუნებულია საკუთარ ძალებში...

(პასიონარიას ხმა უსუსტდება; მას უხდება თავისთავზე უდიდესი ძალის დატანება, რომ განაგრძოს ლაპარაკი. დამსწრენი ამჩნევენ მის მდგომარეობას და უყვირიან შეწყვიტე სიტყვაო.

მაგრამ პასიონარია განაგრძობს თავის სიტყვას, მიუხედავად იმისა, რომ მისი ხმა ძლივს ისმის, მას ყველა დაძაბული ყურადღებით უსმენს. მასტალიის სტადიონზე გამეფდა მეტისმეტად დაძაბული სიჩუმე. ასიათასმა კაცმა სული განაბა, რომ მოისმინონ.

პასიონარია ლაპარაკობს, რომ მთავარი ამოცანა მდგომარეობს მთლიანობის შენარჩუნებასა და კიდევ უფრო მეტად განმტკიცებაში, სახალხო ფრონტის განმტკიცებასა და მთავრობისათვის დახმარებაში, რომ მან შეძლოს დანაშაულებრივი ამბოხების ჩაქრობა).

ძალიან მალე მოვიპოვებთ გამარჯვებას და დავუბრუნდებით ჩვენს ბავშვებს...

(უკანასკნელი სიტყვები აღწევს მხოლოდ მათ ყურებამდე, რომლებიც ტრიბუნაზე არიან. მჭუხარე ტაშისცემა. მებრძოლი ვალენსიის მშრომელთა ასიათასიანი მასა რამდენიმე წუთის განმავლობაში მხურვალედ ესალმება პასიონარიას).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვების განთიადი*

თუმცა გამარჯვების განთიადი უკვე იწყება ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ შორს არ არის დიდი ბრძოლების დღეები, რომლებიც გამოცდიან ჩვენი ხალხის სიმამაცეს და გმირობას, წინააღმდეგ იმ პირთა უსაზღვრო ილუზიებისა, ვინც ფიქრობს, რომ ომი უკვე მოგებულია. კომპარტია, რომელიც, როგორც ყოველთვის, ფხიზლად არის, აფრთხილებს ხალხს მოახლოებული საშიშროების შესახებ.

ჩვენ კარგად ვიცნობთ მტერს და ვიცით, რომ იგი არ ფიქრობს ხელი აიღოს თავის გეგმებზე. მუსოლინის წონასწორობა დაუკარგა გვადალახართან განადგურებამ — იტალიის არმიის ამ მეორე კაპორეტომ — და იგი ბნედიანივით დორბლმორეული გაიძახის: ასკეცად ავინაზღაურებ სამარცხვინო დამარცხებასო.

ჩვენი ჯარისკაცები იღიმებიან, როდესაც იგონებენ იტალიელთა „გმირობას“ და მოგვითხრობენ, თუ როგორ „გვიტევდნენ“ უკანდახევით შავხალათიანთა ფალანგები, და, ბოლოს, თუ როგორ ანადგურებენ ახლა თავიანთ მფლობელებს ის ზარბაზნები, რომლებიც ხელთ ვიგდეთ

---

* დოლორეს იბარურიმ (პასიონარიამ) საკავშირო დეპეშათა საგენტოს სპეციალურ კორესპონდენტს საბჭოთა პრესისათვის გადასცა 1937 წლის საპირველმაისოდ ეს სტატია.

ტორიხესთან, ტრიხუეკესა და ბრიუეგესთან გამართულ ბრძოლებში.

ბრძოლის, მუდმივ მსხვერპლთა, განუწყვეტელ შეტაკებათა ათმა თვემ გააკაჟა ჩვენი ხალხი. მამაცი, მაგრამ ყოველგვარ სამხედრო გამოცდილებას მოკლებული რაზმელებიდან ჩვენ შევძელით შეგვექმნა შესანიშნავად გაწვრთნილი ჯარისკაცები, რომლებიც გამსჭვალული არიან განსაკუთრებული საბრძოლო სულისკვეთებითა და შეგნებული დისციპლინით. ეს თვისებანი საშუალებას გვაძლევენ სიკვდილს პირდაპირ თვალში შევხედოთ და უკან არ დავიხიოთ. როდესაც ჩვენი ჯარისკაცები სანგრებში იმყოფებიან, მათი ფეხები თითქოს მიკრულია მიწაზე, და არავითარ ადამიანურ ძალას არ შეუძლია მათი ადგილიდან დაძვრა. იყო ისეთი ბრძოლები, როდესაც ჩვენი ჯარისკაცები ამჯობინებდნენ ისინი მტრის ტანკებს გაესრისათ, ვიდრე რომელიმე პოზიცია დაეტოვებინათ. ეს მაგალითი დანარჩენებს აღფრთოვანებდა, და ისინი იერიშზე ისეთი გააფთრებით მიდიოდნენ, რომ მტრის მანქანები უკვე ველარ ბრუნდებოდნენ თავიანთ ხაზებზე, ჩვენი ადამიანები კი წინ მიიწევდნენ გრიგალისებური ცეცხლის ქვეშ, და იქ, სადაც წინათ კონტრრევოლუციური ბაირალი მოჩანდა, შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის დროშა ფრიალებდა.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ესპანელები ვართ. 1936 წლის 18 ივლისამდის ჩვენ თავს უცხო ადამიანებად ვგრძნობდით საკუთარ ქვეყანაში. ესპანეთი ჩვენ არ გვეკუთვნოდა, იგი იყო კასიკების — ექსპლოატატორების, ეკლესიის, ჩარჩების საკუთრება.

ახლა ჩვენ მას თითო მტკავლობით ვიპყრობთ. წარსულში ესპანეთის სახელი იყო სინონიმი დიდი იმპერიისა,

„სადაც მზე არ ჩადიოდა“. გამარჯვების მეორე დღეს ჩვენი ესპანეთი, დემოკრატიისა და თავისუფლების ესპანეთი, თავისი ტერიტორიით იქნება პატარა, მაგრამ ამავე დროს დიადი, შესანიშნავი ქვეყანა, ვინაიდან მან გაბედა გრანდიოზული ბრძოლის დაწყება ფაშისტურ მხეცთან.

ჩვენმა ქვეყანამ ცივილიზაციის გზები გაიკვლია ატლანტიკასა და ამერიკის ხელუხლებელ უდაბურ ტყეებში. ესპანეთის სახელი დაკავშირებულია კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უფრო დაუვიწყარ მოვლენასთან — ამერიკის აღმოჩენასთან. ახალი დროის ისტორიაში ესპანეთის სახელი საბჭოთა კავშირის სახელთან ერთად იქნება კაცობრიობის თავისუფლებისათვის, მშვიდობიანობისათვის, დემოკრატიისათვის ბრძოლის ავანგარდში.

ჩვენმა ადამიანებმა იციან, რომ ისინი მარტო თავის თავისათვის როდი იბრძვიან. ისინი არ ივიწყებენ გერმანიის ხალხის ტანჯვა-წამებას ჰიტლერის უღელქვეშ. მათ სურთ დახმარება გაუწიონ იტალიის ხალხს და დაამსხვრიონ ფაშისტური მონობის ბორკილები. მათ სურთ სამუდამოდ მოულონ ბოლო ფაშისტურ საფრთხეს, რომელიც მსოფლიოს ემუქრება.

ჩვენ გავიმარჯვებთ! ერთერთი ჩვენი დიდი პოეტი ამბობდა: „არ შეიძლება მონა იყოს ის ხალხი, რომელსაც სიკვდილი შეუძლიაო“. და ჩვენმა ხალხმა სავსებით დაამტკიცა, რომ მას შეუძლია ბრძოლა, შეუძლია სიკვდილი, და მას ვერ დაიმონებენ!

გამარჯვების ამ წლის საპირველმაისო დღესასწაულის დროს ჩვენი საბრძოლო ჰიმნის — „ინტერნაციონალის“ — მგზნებარე რევოლუციური მელოდიები ახლებურად უნდა აჟღერდეს.

„ალდექ, მშიერნო, წამებულნო, მონებო მთელი ქვეყნისა!“ — შესძახებენ ჩვენი მეომრები სანგრებში, და მათი ხმა მტრის სანგრებამდის მიიტანს ხალხის მასების გრძნობას, რომლებიც იბრძვიან თავისუფალი და ბედნიერი ესპანეთისათვის. სამართლიანობისა და თავისუფლების სინათლე, ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში აელვარებული, თავისი ბრწყინვალებით გაანათებს ესპანეთს, რომელიც იბრძვის დემოკრატიისათვის, ხალხთა მშვიდობიანობისათვის, ადამიანური შრომისათვის, კულტურისა და პროგრესისათვის!

4/100

34/100

ეროვნული
ბიბლიოთეკა